www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

2018

II კვარტალი

(წინასწარი)

10.09.2018

www.geostat.ge

10.09.2018

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
2018 წლის II კვარტალი
(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წლის II კვარტალში 389.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წლის II კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებს 9.4 პროცენტით აღემატება.

აქვე აღსანიშნავია, რომ საწარმოებიდან მიღებული განახლებული მონაცემების საფუძველზე საქსტატმა დააზუსტა 2017 წლის (რომლის შედეგადაც გამოქვეყნებული მაჩვენებელი გაიზარდა 0.3 პროცენტით) და 2018 წლის I კვარტალის (მაჩვენებელი შემცირდა 0.1 პროცენტით) მონაცემები.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2016-2018 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2016-2018 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი)

წელი	I	II	III	IV	სულ
2006	145.2	318.0	332.4	375.5	1,171.2
2007	330.8	366.5	468.9	586.4	1,752.6
2008	539.5	605.4	134.9	290.0	1,569.7
2009	113.3	177.1	179.0	194.8	664.2
2010	176.1	211.4	236.4	221.2	845.1
2011	222.5	270.9	306.8	329.6	1,129.9
2012	295.5	246.8	219.5	261.2	1,022.9
2013	290.3	216.4	265.8	248.0	1,020.5
2014	326.6	209.7	740.5	540.9	1,817.7
2015	335.0	483.0	515.9	331.7	1,665.6
2016	378.8	411.5	491.7	283.7	1,565.8
2017	393.6	355.8	622.8	522.2	1,894.5
2018*	287.0	389.2			676.2

*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით 2016-2018 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

	2016				2017				2018*	
	I*	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
სულ	378.8	411.5	491.7	283.7	393.6	355.8	622.8	522.2	287.0	389.2
მათ შორის:										
სააქციო კაპიტალი	1,025.4	270.3	239.8	262.8	164.4	295.2	339.7	388.5	119.8	190.4
რეინვესტიცია^	20.1	87.3	213.5	13.2	175.5	133.1	236.0	112.9	199.4	178.8
სავალო ვალდებულებები^^	-666.6	53.9	38.5	7.7	53.7	-72.5	47.1	20.8	-32.2	20.0

*წინასწარი მონაცემები.

*2016 წლის I კვარტალში ადგილი ჰქონდა სესხის კაპიტალიზაციას. აღნიშნული ოპერაცია თანაბრად არის ასახული სავალო ვალდებულებების შემცირების და სააქციო კაპიტალის ზრდის მიმართულებით.

^ რეინვესტიცია - სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის.

^^ სავალო ვალდებულებებში აისახება სავაჭრო კრედიტები და სესხები.

როგორც ცხრილიდან (ცხრილი №2) ჩანს, 2018 წლის II კვარტალში რეინვესტიციის წილმა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 45.9 პროცენტი შეადგინა.

ცხრილი№3. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2018 წლის II კვარტალში

	2016				2017				2018*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
სულ	378.8	411.5	491.7	283.7	393.6	355.8	622.8	522.2	287.0	389.2
მათ შორის:										
აზერბაიჯანი	134.9	147.2	145.0	131.3	92.5	122.6	150.8	99.1	56.0	80.5
ჩეხეთი	2.4	37.1	26.1	21.4	-9.3	23.5	27.3	101.0	0.0	77.9
ნიდერლანდი	19.0	13.5	-1.9	41.7	42.4	50.2	84.0	180.2	32.5	65.3
გაერთიანებული სამეფო	43.4	57.1	4.0	-1.6	78.0	28.0	68.8	74.0	82.7	47.5
აშშ	11.9	15.7	20.6	10.2	5.7	30.1	28.4	15.5	23.8	28.4
რუსეთი	7.2	4.9	6.3	17.6	6.7	-1.2	23.2	19.0	12.3	19.6
პანამა	2.6	26.0	9.4	37.9	11.9	16.6	12.9	11.4	16.9	17.1
მალტა	5.6	11.3	7.6	4.9	8.7	5.2	2.9	-7.5	-1.3	14.0
გერმანია	9.1	3.0	3.8	8.2	5.9	1.6	-1.9	-100.4	13.2	13.2
თურქეთი	43.2	9.6	96.5	60.4	80.1	37.7	141.0	25.3	-70.4	10.9
დანარჩენი ქვეყნები	99.4	86.0	174.4	-48.3	71.0	41.6	85.2	104.6	121.4	14.7

*წინასწარი მონაცემები.

2018 წლის II კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სტრუქტურული დიაგრამა №2, რომლის მიხედვით პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი - 20.7 პროცენტით, მეორე ადგილზეა ჩეხეთი - 20.0 პროცენტით, ხოლო მესამეზე ნიდერლანდი - 16.8 პროცენტით.

დიაგრამა №2

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2018* წლის II კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2018 წლის II კვარტალის მიხედვით ეკონომიკის სექტორების ჭრილში მოცემულია ცხრილში №4:

ცხრილი №4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016-2018 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

	2016				2017				2018*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
სულ	378.8	411.5	491.7	283.7	393.6	355.8	622.8	522.2	287.0	389.2
მათ შორის:										
ენერგეტიკა	37.2	42.8	41.0	23.9	11.6	14.5	92.3	105.7	8.9	108.8
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	178.6	174.3	206.4	76.5	127.1	115.6	172.4	74.5	-10.2	77.0
საფინანსო სექტორი	63.3	60.5	39.2	-21.9	76.3	2.0	71.5	152.9	110.8	64.1
უძრავი ქონება	10.4	2.4	18.6	18.2	61.8	44.9	31.8	39.6	-19.7	34.3
მშენებლობა	40.5	15.4	62.1	50.7	54.4	66.8	117.1	44.9	69.2	29.1
დამამუშავებელი მრეწველობა	10.8	16.2	67.9	30.7	13.0	18.3	43.9	23.4	40.6	22.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა	10.1	18.5	12.1	9.1	12.0	14.1	13.2	12.5	22.3	17.6
სასტუმროები და რესტორნები	8.2	0.7	12.6	34.7	7.1	25.1	29.7	14.4	23.8	7.6
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	2.2	-0.8	2.1	4.8	0.5	4.0	4.8	3.0	-0.7	6.9
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება	17.7	13.2	-1.0	-0.4	0.1	0.8	1.8	4.6	8.4	1.6
დანარჩენი სექტორები	-0.2	68.3	30.8	57.4	29.6	50.0	44.2	46.9	33.6	19.9

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2018 წლის II კვარტალში 64.2 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 108.8 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 28.0 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი 77.0 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - საფინანსო სექტორი 64.1 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წლის II კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე №3:

დიაგრამა №3

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018* წლის II კვარტალში



წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა "საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ");
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

გამოყენებული პირობითი აღნიშვნა:

0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით;

მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

2018 წლის მარტიდან (სსფ-ის რეკომენდაციის შესაბამისად) საქსტატმა დაიწყო საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკის გამოქვეყნება ინტეგრირებული ფორმატით, რაც საშუალებას აძლევს ეკონომიკურ სუბიექტებს, რეგულარულად მიაწოდონ საქსტატს დაზუსტებული ინფორმაცია. საქსტატი, თავის მხრივ, იყენებს აღნიშნულ შესაძლებლობას და მუდმივად ახორციელებს მონაცემთა განახლებას სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ამაღლების მიზნით.

2018 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2019 წლის 15 აგვისტოს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს წინა პერიოდების მონაცემების ცვლილება.

საკონტაქტო პირი: ლია ძებისაური, ტელ.: (+995 322) 36 72 10 (300).
E-mail: Ldzebisauri@geostat.ge